# თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია

## კონკურსის მეშვეობით სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის

## საკონკურსო დოკუმენტაცია

---

ქ. ბათუმი

2012

# სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება 3
2. საკონკურსო პირობები 5
3. ტექნიკური დავალება 9

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების საფუძველზე.

## 1. საკონკურსო განცხადება

**1.1.** თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია აცხადებს კონკურსს სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს;

**1.2.** კონკურსის მიზანია ქ. ბათუმში, სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენსაციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების საუკეთესო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამოვლენა.

**1.3.** შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4 300 (ოთხი ათას სამასი) ლარს;

**1.4.** საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (http://procurement.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=39);

**1.5.** საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი;

**1.6.** საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან, 1.4 და 1.5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, კონკურანტი პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

**1.7.** წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე;

**1.8.** საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ. უცხო ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ თარგმანს;

**1.9.** საკონკურსო წინადადების მიღება იწყება 2012 წლის 31 ივლისს;

**1.10.** საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2012 წლის 7 აგვისტოს, $17^{00}$ საათზე;

**1.11.** დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 7 აგვისტოს $17^{00}$ საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის №25;

**1.12.** დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს;

**1.13.** კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადება არ განიხილება;

**1.14.** საკონკურსო წინადადებები, რომლებიც ვერ გაიმარჯვებენ კონკურსში, მოთხოვნისთანავე უბრუნდებათ კონკურსანტებს.

## 2. საკონკურსო პირობები

### 2.1. შეფასების კრიტერიუმები:

ა) საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0.7;
- ანალოგიური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია: კოეფიციენტი – 0.3;

გ) შეფასება განხორციელდება 10 ქულიანი სისტემით;

დ) კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ მიენიჭება ყველაზე მაღალი ჯამური ქულა; ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტს წარმოადგენს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია.

### 2.2. საკონკურსო წინადადების ფასი:

ა) საკონკურსო წინადადების ფასში ასახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი;

ბ) თუ პრეტენდენტი არ არის დღგ–ს გადამხდელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მისი საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დღგ-ის გარეშე (კონკურსანტმა შენიშვნის სახით უნდა მიუთითოს გარემოება, რის საფუძველზეც არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად);

გ) საკონკურსო წინადადება, რომლის ფასიც აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (4 300 ლარი), არ განიხილება.

### 2.3. ინფორმაცია კონკურსანტის გამოცდილების შესახებ:

ა) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტს უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში (2010, 2011წ.) და 2012 წლის 1 ივლისამდე შესრულებული უნდა ჰქონდეს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის (შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა) მომსახურება;

ბ) ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს **ცხრილი №1-ის** შესაბამისად;

გ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტენდერით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (ხელშეკრულების ასლები ხარჯთაღრიცხვით, მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტების ასლები). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ქ. ბათუმის მერიის დაკვეთით შესრულებულ სამუშაოებზე.

### 2.4. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

#### *2.4.1. ანგარიშსწორების პირობა:*

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში;

გ) საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

*2.4.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:*

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

*2.4.3. მომსახურების ვადა:*

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

*2.4.4*. ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის **2.4.** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

**2.5.** საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, ასევე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტს აუნაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

**2.6. კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს:**

ა) საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგი თანმიმდევრობით:

- საკონკურსო წინადადების ფასი, ვალუტა-ლარი;
- განმარტებითი ბარათი, ტექნიკური დავალება;
- ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ (ცხრილი №1);
- ხელშეკრულების აუცილებელი პირობები;
- კონკურსანტი პირის რეკვიზიტები, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

-

- კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება
- საიდენტიფიკაციო კოდი/ ნომერი
- კონკურსანტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:
- ხელმძღვანელის სახელი, გვარი
- კონკურსანტის ტელეფონის ნომერი: ☎ ტელ.: ; 🖷 ფაქსი.: ; 📱 მობ.:
- ელექტრონული მისამართი, E-mail:
- ბანკის დასახელება
- ბანკის კოდი
- ანგარიშსწორების ანგარიში

ბ) ყველა დოკუმენტი ხელმოწერილი და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

**2.7.** საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება შესაძლებელია საკონტაქტო პირისაგან: ია ზოსიძე, ტელ: (0422) 27 26 18. წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25; პირველი სართული, მე-7 ოთახი; E mail: tender@batumi.ge.

*ცხრილი №1*

**ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ**

| № | მომსახურების დასახელება<br>(თითოეული ობიექტის მიხედვით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | გაწეული მომსახურების ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ... | | | | |
| **ჯამი (2010 წელი)** | | | | |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ... | | | | |
| **ჯამი (2011 წელი)** | | | | |
| 1 | | | | |
| 2 | | | | |
| ... | | | | |
| **ჯამი (2012 წლის 1 ივლისამდე)** | | | | |
| **სულ ჯამი** | | | | |

**პრეტენდენტის ხელმოწერა** _____ **ბ.ა.**

2. <u>ტექნიკური დავალება:</u>

*ა) ქ. ბათუმში სანაცვლო ქონების მესაკუთრეებზე საექსპროპრიაციო ქონების საკომპენ-საციოდ გადასაცემი ბინების სარემონტო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა,*

მათ შორის:

**3.1. მშენებელი კომპანიის მიერ შედგენილი გეგმების (პროექტის) მიხედვით:**

1. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 88,5 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №2 (ბლოკი „ა“, მე-2 სართული);
2. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 101,4 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №3 (ბლოკი „ბ“, მე-4 სართული);
3. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 56,7 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №8 (ბლოკი „ა“, მე-3 სართული);
4. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 59,4 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №13 (ბლოკი „ა“, მე-2 სართული);
5. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 121,3 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №11 (ბლოკი „ა“, მე-4 სართული);
6. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 54,8 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №8 (ბლოკი „ა“, მე-4 სართული);
7. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 95,7 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №2 (ბლოკი „ბ“, მე-7 სართული);
8. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 117,00 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №10 (ბლოკი „ა“, მე-4 სართული);
9. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 122,8 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №11 (ბლოკი „ა“, მე-6 სართული);
10. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 54,8 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №8 (ბლოკი „ბ“, მე-4 სართული);
11. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 58,8 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №12 (ბლოკი „ა“, მე-2 სართული);
12. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 74,2 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №1 (ბლოკი „ა“, მე-3 სართული);
13. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 58,8 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №9 (ბლოკი „ა“, მე-2 სართული);
14. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 88,5 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №2 (ბლოკი „ბ“, მე-2 სართული);
15. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 54,00 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №14 (ბლოკი „ბ“, მე-2 სართული);
16. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 55,1 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №8 (ბლოკი „ა“, მე-5 სართული);

17. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 148,4 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №4 (ბლოკი „ა“, მე-4 სართული);

18. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 106,7 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №3 (ბლოკი „ბ“, მე-9 სართული);

19.ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 51,3 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №15 (ბლოკი „ა“, მე-6 სართული);

20. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 52,2 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №17 (ბლოკი „ა“, მე-6 სართული);

21. ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქუჩაზე კომპლექს „ბათუსის“ მოპირდაპირედ მდებარე 59,4 კვ.მ. საერთო ფართის საცხოვრებელი ბინა №13 (ბლოკი „ა“, მე-7 სართული).

**სულ: 1 679.8 კვ.მ.**

- აღნიშნული საცხოვრებელი ბინები მოყვანილი უნდა იყოს შემდეგ მდგომარეობაში: **ა)** მოწესრიგებული ფასადი და სახურავი; **ბ)** სან-ტექნიკური დგარები (ცივი წყალი, კანალიზაცია); **გ)** ჩართული საკომუნიკაციო ქსელები (ცივი წყალი, კანალიზაცია, ტრაპი); **დ)** ბინის კონტურის კედლები; **ე)** ბინის შიდა ტიხრები; **ვ)** ფანჯრები; **ზ)** კარები; **თ)** ტიხრებისა და კონტურის კედლების შელესვა; **ი)** შეღებილი შიდა კედლ-ები; **კ)** ელ. გაყვანილობა (თითო ოთახზე ორი ელ.წერტილი); **ლ)** ოთახებში დაგებული ლამინირებული პარკეტი; **მ)** დამონტაჟებული შიდა კარები; **ნ)** კეთილმოწყობილი სამზარეულო (ავეჯის გარეშე); **ო)** კეთილმოწყობილი სველი წერტილები.

- **დამატებით:**
  **ა)** გათვალისწინებული იქნას თითოეულ საცხოვრებელ ბინაში ბუნებრივი აირის შეყვანისათვის საჭირო თანხები.; **ბ)** გათვალისწინებული იქნას მშენებელი კომპანი-ის მიერ ჩატარებული სარემონტო სამუშაოები.

### 3.2. გასაწევი მომსახურების სახეობა

- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტის სავარაუდო ღი-რებულების დადგენა;
- საჭირო შემთხვევებში დამატებითი მომსახურების გაწევა:
- დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენა;
- ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

### 3.3. დავალების შინაარსი

შესასრულებელი სამუშაოების ხარისხის გაზრდისა და ღირებულების შემცირების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული სახარჯთაღრიცხვო გათვლები შეასრულოს სამუშაოების კლასიფიკაციის ინსტრუქციის შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები);

- 
- სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტის საჭირო წინასწარი შეთანხმებები;
- პროექტებში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;
- პერიოდული შეკეთებისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების და დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენისას პროექტების ღირებულება მიმწოდებელმა უნდა განსაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებით და ღირებულებებით.

**3.4. ნორმატიული დოკუმენტები:**

ძირითადი სახელმძღვანელო ნორმატივებია:

- სნიპ II-2-80 = შენობა-ნაგებობების პროექტირების ანტისახანძრო ნორმები;
- სნიპ 2.03.0I-84 = ბეტონისა და რკინა-ბეტონის კონსტრუქციები;
- სნიპ II-22-81 = ქვისა და არმირებული ქვის კონსტრუქციები;
- სნიპ II-25-80 = ხის კონსტრუქციები;
- სნიპ II-26-76 = სახურავები;
- სნიპ II-28-73 = სამშენებლო კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვა;
- სნიპ 2.04.01-85 = შენობის შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემა;
- სნიპ 2.04-02-84 = წყალმომარაგება, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ II-32-74 = კანალიზაცია, გარე ქსელები და ნაგებობები;
- სნიპ 544-82=შენობა-ნაგებობების ელექტრომომარაგების პროექტირების ინსტრუქცია.

**3.5. კუთვნილება:**

ა) ამ დავალებასთან დაკავშირებით მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში; მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე.

**3.6. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის რაოდენობა:**

ა) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექ-ტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში.

**3.7. ხელშეკრულების პირობების შესრულების წესი:**

ა) მომსახურების გაწევას "მიმწოდებელი" ასრულებს საკუთარი ძალებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის 50%-მდე დასაშვებია გადაეცეს "შემსყიდველის" მიერ მოწონებულ ქვეიჯარე ორგანიზაციას;

ბ) მომსახურების ნაწილის ქვეიჯარაზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.